ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3451490

ნომერი: AR1494592

თარიღი : 10.04.2017

გაცემის თარიღი : 04.08.2017

გაცნობის თარიღი : 04.08.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნიკოლოზ ყიფშიძე , N 2გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზი ხვედელიძე პ/ნ 62006053243
- ქ.თბილისი ფალიაშვილის 62ა ბინა 15ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის10 აპრილის NAR1494592 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.002.101) მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის15 აგვისტოს N1880 განკარგულებისძალადაკარგულად გამოცხადებას და ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 5 მაისის N880 განკარგულებაში ცვლილების შეტანას: კერძოდ, საკადასტრო მონაცემების (საკადასტრო კოდი N01.14.14.002.101) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2=14.8 დაფიქსირებით.

პასუხადგაცნობებთ, რომ აღნიშნულისაკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების განაშენიანების და რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 13 აპრილის N15 სხდომაზე, სადაც საკითხს მიეცა დადებითი რეკომენდაცია.

სამსახურმა უკვე გაცნობათ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების დასამტკიცებლად საჭირო იყო წარმოგედგინათ მიწისნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრის კ–2=14.8 მოსაკრებლისდაანგარიშების დასკვნა დამოწმებული შესაბამისი საექსპერტო უწყების მიერ, ამ ეტაპზე წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნა არის ზედაპირული, მასში არ არის მითითებული ის მეთოდოლოგია და ეტაპობრიობა თუ რის საფუძველზეა მიღებული გადაწყვეტილება მოსაკრებლის დაანგარიშებასთან დაკავშირებით. დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს საარქივო მასალას, რომელიც ოფიციალურად უნდა გამოითხოვოს კვლევის ჩამტარებელმა და დაეყრდნოს ამ მონაცემებს. რომელიც სრულად უნდა ასახოს კვლევაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულიაშესაძლებლობას განიხილოს თქვენი2017 წლის 10 აპრილის NAR1494592 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.